საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/79

ქ. ბათუმი 04 ივნისი, 2021 წ.

„ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 21 აპრილის N01-02/65 ბრძანებით შეტანილი ცვლილების თანახმად 2020-2021 სასწავლო წლის კალენდარით სწავლის დასრულების ვადა და კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდი განისაზღვრა 2021 წლის 02 აგვისტოდან 06 აგვისტომდე.

ბსუ-ს ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა იწურება 2021 წლის 1 ივლისს. აღნიშნული პროგრამა ბსუ-ს მიერ წარდგენილია ხელახალი აკრედიტაციისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის გადაწყვეტილება (დადებითი) არ იქნება მიღებული 2021 წლის 01 ივლისამდე, აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება აკადემიურ კალენდარში ამ პროგრამის სტუდენტთა ნაწილში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აპრილს და 14 აპრილს შეტანილი ცვლილებების), ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების, ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის N175 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური

კალენდრის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N01-02/152 (ცვლილება 2021 წლის 21 აპრილის N 01-02/65 ბრძანებით), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2021 წლის 30 მაისის MES 6 21 0000499691, იურიდიული დეპარტამენტის მთავარის სპეციალისტის ხ. აფაქიძის 2021 წლის 4 ივნისის MES 0 21 0000520159 სამსახურებრივ ბარათთა საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს დამატება **„ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ“** ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებაში და მისი N1 დანართის (ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის) პირველი პუნქტის შემდეგ **დაემატოს 1[1] პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1[1]. ბსუ-ს ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის გაზაფხულის სემესტრი წარიმართოს შემდეგი განრიგით;

ა) 2021 წლის 15 მარტს დაწყებული სასწავლო პროცესი დასრულდეს 2021 წლის 12 ივნისს;
ბ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 14 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია- 2021 წლის 25 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით (ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით);
გ) ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2021 წლის 29-30 ივნისის ჩათვლით.“.

2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში ,,აკადემიური კალენდარი“) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს სტუდენტებს და პერსონალს.
3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტს, ,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს (ბსუ-ს რექტორის N01-02/130, 01.10.2020 ბრძანების მიხედვით), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკური

დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში